გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 07/04/2016

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №0416/06-1

2016 წლის 6 აპრილი

ქ.თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართს, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული მონაცემები.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმ (ებ)ი, ზედმეტი სახელ (ებ)ი	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართ (ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
380	1. ნაიეფ (NAYEF) 2. სალამ (SALAM) 3.მუჰამმად (MUHAMMAD) 4.უჯაიმ ალ-ჰაბაბი (UJAYM AL-HABABI) **ტიტული:** შეიხი (Sheikh) **დაბ. თარიღი:** ა) 1981 ბ) დაახლოებით 1980 **დაბ. ადგილი:** საუდის არაბეთი **ეროვნება/მოქალაქეობა:** ა) საუდის არაბელი ბ) ყატარელი (Qatar)	ა)ნაიფ სალამ მუჰამმად უჯაიმ ალ-ჰაბაბი (Nayf Salam Muhammad Ujaym al-Hababi) ბ) ფარუქ ალ-ქაჰტანი (Faruq al-Qahtani) გ) ფარუქ ალ-ქატარი Faruq al-Qatari დ) ფარუქ ალ-ქაჰტანი ალ-ქატარი (Farouq al-Qahtani al Qatari) ე) შეიქჰ ფარუქ ალ-ქაჰტანი (Sheikh Farooq al-Qahtani) ვ) შაიკჰ იმრან ფარუკ (Shaykh Imran Farouk) ზ)შეიქჰ ფაროქ-ალ-ქატარი (Sheikh Faroq al-Qatari)	**პასპორტის მონაცემები:** ყატარის პასპორტის ნომერი: N592667 გაცემის თარიღი: 03.05.2007 **პირადი ნომერი:**	**მისამართი:** ავღანეთი(2009 წლიდან მოყოლებული)	28.03.2016	ალ ქაიდას ემირი ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში. მეთაურობდა ალ-ქაიდას ბატალიონს ავღანეთში სულ მცირე 2010 წლის შუა პერიოდიდან მოყოლებული